პირველი მიმართულება - ამომრჩეველთა ინფორმირება 2019 წლის მაისში გასამართი ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის რიგგარეშე არჩევნებისთვის.

„აირჩიე და მიიღე მონაწილეობა შენი მუნიციპალიტეტის მართვაში!"

ასოციაცია „დეა"

15 აპრილი–15 მაისი, 2019წ.

- **პროექტის მიზანი** - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ამომრჩევლების გააქტიურებისა და ინფორმირების ხელშეწყობა 2019 წლის მაისში გასამართ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის რიგგარეშე არჩევნებისთვის.
- **ამოცანა 1.** ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 30 –ვე თემში საგანამანათლებლო კამპანიის წარმოება ინფორმირებული და შეგნებული არჩევანის გაკეთებისთვის.
- **ამოცანა 2.** ამომრჩევლების პოლიტიკური ცნობიერების ამაღლება, არჩევნების პოპულიზაცია საინფორმაციო კამპანიის საშუალებით.

პროექტი განხორციელდა - სამეგრელო–ზემო სვანეთისრეგიონში, ზუგდიდის მუნიციპალიტეტში (ქალაქი ზუგდიდი, 30 თემი და 48 სოფელი).

პროექტის სამიზნე ჯგუფი:

- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 30 თემის ამომრჩევლები _ **პირდაპირი ბენეფიციარები;**
- მუნიციპალიტეტის მერობის კანდიდატები, ფართო მოსახლეობა (რადიომსმენელები _ დაფარვის ზონა: სამეგრელო–ზემო სვანეთის რეგიონი და სოციალური ქსელების მომხმარებლები) _ **არაპირდაპირი ბენეფიციარები;**
- **პროექტის ფარგლებში ინფორმირებული ადამიანების რაოდენობამ შეადგინა 12,000** ადამიანი. დამატებით, რადიოგადაცემებიდან ინფორმირებული ადამიანების რაოდენობა _ დაფარვის ზონა: სამეგრელო–ზემო სვანეთის რეგიონი 10 000–ზე მეტი ადამიანი, ასევე, სოციალური ქსელის მომხარებელი ადამიანების რაოდენობა (3 000ზე მეტი ადამიანი);

პროექტის საქმიანობებში უშუალოდ მონაწილე ბენეფიციარების რაოდენობა _ **858** აქედან, **411** ქალი, **447** კაცი (საინფორმაციო სემინარები, მერობის კანდიდატებთან შეხვედრა და პროექტის ფინალური პრეზენტაცია)

1500 საინფორმაციო ფურცელი, ერთი საინფორმაციო ფურცლის მკითხველი ადამიანი საშუალოდ **3** (სულ, **4500** + ელექტრონული ვერსიის მკითხველთა რაოდენობა **361** ნახვა); **300** ფლაერი, აქციისა და რადიოგადაცემების სოციალურ ქსელში მნახველთა რაოდენობა **3460** ადამიანი, რადიოგადაცემების მსმენელი ადამიანების რაოდენობა _ **10 000**–ზე მეტი ადამიანი (დაფარვის ზონა: სამეგრელო–ზემო სვანეთის რეგიონი).

სანგარიშო პერიოდში დაგეგმილი იყო და განხორციელდა შემდეგი საქმიანობები:

- ამომრჩევლების ინფორმირებისა და პოლიტიკური წიგნიერების ამაღლების მიზნით გამოიცა **1500** ცალი საინფორმაციო ფურცელი. მასში ასახული იყო ინფორმაცია საარჩევნო უფლებებზე, პროცედურებზე, 2019 წლის მაისში გასამართ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის რიგგარეშე არჩევნებზე; (ინფორმირებული ადამიანების რაოდენობა 4500 ადამიანზე მეტი ადამიანი);

- საინფორმაციო ფურცლები გავრცელდა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 30–ვე თემში საინფორმაციო სემინარებზე, აქციაზე, პროექტის ფარგლებში დაგეგმილ შეხვედრებზე, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში და სხვ. საინფორმაციო ფურცლის ელექტრონული ვერსია დაიდო ასოციაციის სოციალურ გვერდზე (ფესიბუკგვერდი), რამაც გაზარდა ინფორმირებული ამომრჩევლების რაოდენობა (სოციალური ქსელის მომხმარებელი ათასობით ადამიანი).
- **წინასწარ შედგენილი გრაფიკის მიხედვით 22 აპრილიდან 10 მაისამდე ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 30 თემი (გაერთიანებულია 48 სოფელი და ქ. ზუგდიდის 4 უბანი) ჩატარდა საინფორმაციო სემინარები.** სემინარის მიზანი იყო ამომრჩეველთა ცნობიერების ამაღლება საარჩევნო პროცედურებზე, ხმის მიცემის წესზე, დემოკრატიული არჩევნების მნიშვნელობაზე, არჩევნების გზით მუნიციპალიტეტის მართვის პროცესში ამომრჩევლების მონაწილეობაზე და სხვ. სემინარებზე მოხდა საარჩევნო პროცესის სიმულიაცია. სემინარებს სულ დაესწრო 771, აქედან, კაცი_ 399, ქალი _ 372 .

საინფორმაციო სემინარებზე გამოვლინდა გამოვლინდა თემში არსებული პრობლემები, რომელთა შეჯერება მოხდა მერობის კანდიდატებთან წარსადგენად. 30 თემის საერთო პრობლემებს წარმოადგენს:

- წყალმომარაგება;
- გაზიფიცირება;
- გზების რეაბილიტაცია;
- ადმინისტრაციული ერთეულების შენობების რეაბილიტაცია;
- დასაქმება.

- **10 მაისს დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში ჩატარდა შეხვედრა მერობის კანდიდატებთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან.** შეხვედრის მიზანი იყო ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ამომრჩველებსა და მერობის კანდიდატებს შორის კომუნიკაციის შესაძლებლობების გაზრდა თემის პრობლემების მინიმალიზაციისთვის. შეხვედრას სულ დაესწრო 4 კანდიდატი და 43 დამსწრე, აქედან, 15 ქალი, 28 კაცი.

შეხვედრაზე მერობის კანდიდატებს წარედგინათ საინფორმაციო სემინარებზე მოპოვებული ამომრჩეველთა გზავნილები და თემში მოპოვებული პრობლემები. ამომრჩევლებს შეხვედრაზე ჰქონდათ შესაძლებლობა მოესმინათ მერობის კანდიდატებისგან თემი პრობლემების გადაწყვეტის გზებისა და შესაძლებლობების მათეული ხედვა.

CENTERS.GE

- **მომზადდა და რადიო „ათინათის" ეთერში გავიდა ორი 15 წუთიანი რადიოგადაცემა:** პირველი რადიოგადაცემა ეთერში გავიდა 8 მაისს 17:15 საათზე. გადაცემის სტუმარი იყო ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მერობის კანდიდატი სანდრა რულოვსი. მეორე გადაცემა ეთერში გავიდა 9 მაისს 17:15 წუთზე. გადაცემის სტუმარი იყო პარტია ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს მერობის კანდიდატი გიორგი შენგელია.

ორივე კანდიდატმა გადაცემაში ისაუბრეს მათ საარჩევნო პროგრამაზე, მოქალაქეებთან, არასამთავრობო სექტორთან თანამშრომლობის გზებზე, მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობებზე, შესაძლებლობათა შეზღუდვის საკითხისა და გენდერული მეინსტრიმინგის გათვალისწინები გზებზე ყველა პროგრამაში.

ინფორმირებული ადამიანების რაოდენობა 10 000–ზე მეტი (დაფარვის ზონა:სამგერელო–ზემო სვანეთის რეგიონი).

- **13** მაისს ზუგდიდის ცენტრალური ბულვარის მიმდებარე ტერიტორიაზე (გამსახურდიას გამზირი) ჩატარდა საინფორმაციო აქცია _ ,,აირჩიე და მართე! " მოხალისეებმა საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში: გამსახურდიას ძელგლთან, ბაზარში, ფოსტის მიმდებარე ტერიტორიაზე, ბულვარში, ავტობუსების გაჩერებაზე გაავრცელეს 300 ცალი საინფორმაციო ფლაერი;
- აქციის მიზანი იყო ამომრჩევლების პოლიტიკური აპათიის დაძლევისა და საზოგადოების როლისა და პასუხისმგებლობის გააზრების ხელშეწყობა საარჩევნო პროცესებში.
- აქციის შედეგად ინფორმირებული ადამიანების რაოდენობა _ 900–ზე მეტი; ინფორმაცია აქციაზე განთავსდა ასოციაცია ,,დეას" ფეისბუკგვერდსა და ვებგვერდზე, რამაც გაზარდა აქციასა და 2019 წლის მერის არჩევნებზე ინფორმირებული ადამიანების რაოდენობა (1900– ზე მეტი).

ეს ჩემი
უფლებაა!
ეს ჩემი
უფლებაა!

89
ინოთუკური
სესხი

EXCHANGE



- 14 მაისს დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში ჩატარდა პროექტის შემაჯამებელი პრეზენტაცია. პრეზენტაციას ესწრებოდნენ ფართო საზოგადოების წარმომადგენლები. პრეზენტაციაზე დამსწრე საზოგადოებას წარედგინა პროექტის ფარგლებში განხორციელებული საქმიანობების ანგარიში/მასალები. პრეზენტაციას სულ დაესწრო 42 ადამიანი, აქედან, 23 ქალი, 19 კაცი.

გამოწვევები და გადაჭრის გზები

- საინფორმაციო სემინარების ჩატარებისას გამოვლინდა, რომ მოსახლეობას ნაკლებად ან საეთოდ არ აქვს საარჩევნო–პოლიტიკური კულტურა, განსხვავებული პოლიტიკური მრწამსის მქონე ადამიანთა მიმღებლობა, ნაკლებად ასხვავებენ ერთმანეთისგან პარტიების პროპაგანდასა და არჩევნებზე ინფორმირებისა და გათვითცნობიერების კამპანიას, ხშირ შემთხვევაში, არჩევნები აპრიორი აღიქმება როგორც წამყვანი პარტიის მხარდამჭერი ღონისძიება.
- ამომრჩეველთა ინფორმირება, საუბრები არჩევნებზე, დემოკრატიულ ღირებულებებზე (ტოლერანტობა, განსხვავებულობის მიმღებლობა და პატივისცემა ა.შ.)

პროექტის ეფექტი

- პროექტის განხორციელების შედეგად ხელი შეეწყო ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ამომრჩევლების გააქტიურებისა და ინფორმირების დონის ამაღლებას 2019 წლის მაისში გასამართ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის რიგგარეშე არჩევნებზე;
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 30–ვე თემში საინფორმაციო საგანმანათლებლო კამპანიის წარმოებით გაიზარდა ინფორმირებული ამომრჩევლების მიერ შეგნებული არჩევანის გაკეთებისა და არჩევნებში აქტიურად მონაწილეობის შესაძლებლობები;
- პროექტის ფარგლებში ჩატარებული საინფორმაციო სემინარების, საინფორმაციო ფურცლის/ფლაერის, რადიოგადაცემების, აქციის შედეგად ხელი შეეწყო მოსახლეობის გათვიცნობიერებას არჩევნების მნიშვნელობაზე, არჩევნების პროცედურულ საკითხებსა და არჩევნებში მონაწილეობის აუცილებლობაზე;
- გაიზარდა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 30 თემში საინფორმაციო სემინარებისას წამოჭრილი პრობლემების გადაწყვეტის შესახებ დიალოგის დაწყების შესაძლებლობები.

მყისიერი შედეგები:

- გამოცემულია 1500 ცალი საინფორმაციო ფურცელი და გავრცელებულია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 30–ივე თემში, გაზრდილია თემების ამომრჩევლების ინფორმირების დონე (4500 ადამიანზე მეტი– ინფორმაცია მიიღეს ოჯახის წევრები, მეზობლები, მეგობრები და სხვ.); საინფორმაციო ფურცლის ელექტრონული ვერსიით ინფორმირებულია 361 ადამიანი (ასევე, სოციალური ქსელისა და ვებგვერდის მომხმარებლები);
- ჩატარებულია საინფორმაციო სემინარები ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 30–ივე თემში (770-ზე მეტი ადამიანი) 2019 წლის მაისში დაგეგმილ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის რიგგარეშე არჩევნებზე, შეგროვებული და დახარისხებულია ამომრჩევლების გზავნილები კანდიდატებისადმი/მერისადმი.
- ჩატარებულია შეხვედრა მერობის კანდიდატებთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან (40-ზე მეტი ადამიანი), გაუმჯობესებულია დიალოგის შესაძლებლობები საარჩევნო პროცესში გამოვლენილი თემის პრობლემების გადასაწყვეტად.
- რადიოგადაცემებისა (2) და საინფორმაციო აქციის მეშვეობით არჩევნების შესახებ ინფორმირებულია 10 000–ზე მეტი ადამიანი.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა დედათა ასოციაცია „დეა"

ზუგდიდი, ლაზის ქუჩა #3
*ტელ: **0 (415) 22 06 11;***

ელ.გვერდი: www.dea.org.ge
ფბ გვერდი:
https://www.facebook.com/AssociationDea/

მადლობა